# საქართველოსთვის განკუთვნილი დახმარება - გამჭვირვალობა, ანგარიშვალდებულება და საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი

## ზოგადი მიმოხილვა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ წინამდებარე ანგარიშში განხილულია საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი (Joint Needs Assessment), რომელიც საქართველოსთვის 3,25 მლრდ. დოლარის ოდენობის დახმარების გამოყოფას ითვალისწინებს. დოკუმენტის წინასწარი ვერსია მომზადდა მსოფლიო ბანკის, ევროკომისიისა და გაერო-ს საჭიროებათა შეფასების ერთობლივი მისიის მიერ, რომელიც საქართველოში ორი კვირის მანძილზე იმყოფებოდა 2008 წლის სექტემბერში.

საჭიროებათა შეფასების ერთობლივ დოკუმენტში განხილულია 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგები, შეფასებულია ომის შემდგომ წარმოშობილი საჭიროებები და წარმოდგენილია რეაბილიტაციის გეგმა, რომელიც მომდევნო სამი წლის მანძილზე საგარეო დონორების მიერ დახმარების სახით 3,25 მლრდ. დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს. დოკუმენტში განხილულია ჰუმანიტარული საჭიროებებიც, თუმცა ის საკითხების გაცილებით უფრო ფართო სპექტრს მოიცავს და ყურადღებას მაკროეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაზე ამახვილებს.

საჭიროებათა შეფასების ერთობლივმა დოკუმენტმა მოამზადა ნიადაგი საქართველოს შესახებ დონორთა კონფრენციისათვის, რომელიც ბრიუსელში 2008 წლის 22 ოქტომბერს გაიმართა. დონორებმა პირობა დადეს, საქართველოს გამოუყონ 4,55 მლრდ დოლარი დახმარების სახით, რაც თავდაპირველად მოთხოვნილ თანხას ერთ მილიარდ დოლარზე მეტით აღემატება. დონორები, როგორც წესი, სრულად არ გამოყოფენ დაპირებულ დახმარებას. აქედან გამომდინარე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ 4,55 მლრდ. დოლარის მოცულობის დახმარების გეგმა სრულად განხორციელდება, განსაკუთრებით გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე.

ამ დროისათვის, საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის მხოლოდ შემოკლებული და მნიშვნელოვნად სახეშეცვლილი ვერსიაა საჯაროდ ხელმისაწვდომი. წინამდებარე ანგარიში ეფუძნება დოკუმენტის სრულ ვერსიას, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველომ“ არაოფიციალური არხებით მოიპოვა.

## აგვისტოს ომის შედეგები

უშუალოდ ომით გამოწვეული მატერიალური ზარალი საკმაოდ მცირეა, მაგრამ მისი ეკონომიკური შედეგები სერიოზულია. რამოდენიმეწლიანი ორნიშნა ეკონომიკური ზრდის შემდეგ 2008 წლის მეორე ნახევარსა და 2009 წლის პირველ მეოთხედში საქართველოს ეკონომიკაში სავარაუდოდ რეცესიას ექნება ადგილი. საჭიროებათა შეფასების ერთობლივ დოკუმენტში მოცემული პროგნოზების თანახმად, რომლებიც დონორთა მიერ დახმარების სრულად გამოყოფის ვარაუდს ეფუძნება და ზედმეტად ოპტიმისტური ჩანს, ეკონომიკური ზრდა შემდგომში განახლდება და 2009 წლის ბოლოსთვის 4%-ს მიაღწევს (ომამდელი პროგნოზებით ეს მაჩვენებელი 8-9% უნდა ყოფილიყო). თვით ამ ოპტიმისტური პროგნოზების თანახმადაც კი, ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი ეროვნული შემოსავალი 2011 წლისათვის 660 დოლარით ნაკლები იქნება, ვიდრე კრიზისამდე ივარაუდებოდა.

ომამდე ეკონომიკის ზრდას ძირითადად პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და საბანკო კრედიტების მზარდი ხელმისაწვდომობა განაპირობებდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა ომის შემდეგ მკვეთრად შემცირდა. ბანკები განიცდიდნენ ლიკვიდურობის მწვავე დეფიციტს. ფართომასშტაბიანმა საგარეო ჩარევამ, როგორც ჩანს, შესაძლებელი გახადა საბანკო სისტემის ტოტალური ნგრევის თავიდან აცილება, თუმცა გაცემული კრედიტების მოცულობა

კვლავაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება ომამდელ დონეს. განსაკუთრებით დიდი ზიანი მიადგა სამშენებლო და უძრავი ქონების ბიზნესს, საცალო ვაჭრობასა და ტურიზმს, ანუ ომამდელი ეკონომიკური ბუმის საკვანძო სექტორებს.

საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის თანახმად, „ეკონომიკის შენელება აუცილებლად გამოიწვევს სიღარიბისა და უმუშევრობის მაჩვენებლების ზრდას." ივარაუდება, რომ ახლო მომავალში დაახლოებით 100 000 ქართველი დაკარგავს სამუშაო ადგილს (ეს რიცხვი ამოღებულ იქნა დოკუმენტის იმ ვერსიიდან, რომელიც საჯაროდ გამოქვეყნდა). სიღარიბის მაჩვენებელი 2010 წლამდე სავარაუდოდ 23,6%-დან 25,9%-მდე აიწევს, ხოლო მათი მდგომარეობა, ვინც უკვე სიღარიბეში ცხოვრობს, კიდევ უფრო გაუარესდება.

ეკონომიკის რეცესიის პარალელურად დაიკლებს მთავრობის საგადასახადო შემოსავლები, რაც შეამცირებს ხარჯვისა და ინვესტირების შესაძლებლობას. ამავდროულად, მზარდი სოციალური პრობლემების შედეგად გაძლიერდება წნეხი სახელმწიფო ხაზინაზე. აქედან გამომდინარე, საქართველოს ელის უზარმაზარი საბიუჯეტო დეფიციტი და აგრეთე საშიშროება იმისა, რომ კერძო სექტორში ინვესტიციების შემცირების პარალელურად სახელმწიფოს საკუთარი ხარჯების შეკვეცა მოუწევს.

მზარდი სოციალური პრობლემები მოიცავს იმ 30 000-მდე ადამიანის საჭიროებებს, რომლებიც ომის შედეგად დიდი ხნით განიდევნენ საკუთარი საცხოვრებელი ადგილებიდან. კიდევ 34 000 იძულებით გადაადგილებული პირი მხოლოდ მომავალ გაზაფხულზე შეძლებს საკუთარ სახლში დაბრუნებას.

## საჭიროებათა შეფასების ერთობლივ დოკუმენტში მოცემული რეაბილიტაციის გეგმა

რეაბილიტაციის გეგმა, რომელსაც საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი საქართველოს სთავაზობს, ეკონომიკური პოლიტიკის რადიკალურ ცვლილებას გულისხმობს. აგვისტოს ომამდე როგორც დონორები, ისე ხელისუფლება ემხრობოდნენ ნეო-ლიბერალურ მოდელს, რომელშიც ეკონომიკურ ზრდას კერძო სექტორი უზრუნველყოფდა, ხოლო სახელმწიფო პოლიტიკა გულისხმობდა ბიზნესის ხელშეწყობას, დაბალ გადასახადებს და ეკონომიკურ პროცესებში ჩაურევლობას. ამ მოდელის პირობებში 2004-2008 წლებში საქართველომ სწრაფი ეკონომიკური ზრდა განიცადა, თუმცა სიღარიბის მაჩვენებლები უცვლელი დარჩა, ხოლო სამუშაო ადგილების რაოდენობა შემცირდა კიდეც.[1]

როგორც ჩანს, ომის შედეგად ლოზუნგი „მიენდეთ ბაზარს" შეიცვალა ლოზუნგით „გვიშველეთ, ბაზარი გვტოვებს." საჭიროებათა შეფასების ერთობლივ დოკუმენტში ნავარაუდევია, რომ ბიზნესის თავდაჯერებულობისათვის მიყენებული სერიზული ზიანი კერძო სექტორში ინვესტირების, საბანკო დაკრედიტების და ინდივიდუალური მოხმარების მკვეთრ შემცირებას გამოიწვევს. დოკუმენტში წარმოდგენილი ოპტიმისტური პროგნოზის თანახმად, ბიზნესის თავდაჯერებულობის აღდგენას მხოლოდ ორი წელი დასჭირდება.

მანამდე კი სახელმწიფო საკუთარ თავზე აიღებს ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალის ფუნქციას, რაც გულისხმობს დონორთა მიერ გამოყოფილი თანხების მეშვეობით კონტრციკლური ფისკალური პოლიტიკის გატარებას, სახელმწიფო ვალის ზრდას და თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების ბიუჯეტების შემცირებას. მიუხედავად სახელმწიფო ხარჯების მთლიანი მოცულობის შემცირებისა, დონორების მიერ მოწოდებული პირდაპირი საბიუჯეტო დახმარება საშუალებას მისცემს მთავრობას, გაზარდოს სოციალური დახმარების ხარჯები და

[1] საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ 2003 წლიდან მოყოლებული ქართული ეკონომიკა მუდმივად იზრდებოდა, ადგილი ჰქონდა სამუშაო ადგილების რაოდენობის შემცირებას, რაც ძირითადად „ეკონომიკური რესტრუქტურიზაციით" იყო განპირობებული. გაეროს განვითარების პროგრამის 2008 წლის ჰუმანური განვითარების საქართველოს ანგარიშში აღნიშნულია, რომ „მართალია საქართველოში სიღარიბის აბსოლუტური დონის თაობაზე კონსენსუსი არ არსებობს, ზოგადად ყველა თანხმდება იმაზე, რომ სიღარიბის ან უკიდურესი სიღარიბის მაჩვენებლები უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა." საკითხი დეტალურად არის განხილული ჰუმანური განვითარების ანგარიშის მესამე თავში.

განახორციელოს მნიშვნელოვანი პროექტები ინფრასტურქტურის სფეროში, რათა გადაქაჩოს ფული ეკონომიკაში და შექმნას სამუშაო ადგილები.

## რაში დაიხარჯება ფული?

საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი საქართველოსთვის 3,25 მლრდ. დოლარის გამოყოფას გულისხმობს. დაახლოებით თითო მილიარდი დოლარი უნდა დაიხარჯოს პირდაპირ საბიუჯეტო დახმარებაზე, სოციალური სფეროს საჭიროებებზე და ინფრასტრუქტურაზე.

სქემა 1. ძირითადი პუნქტები საჭიროებათა შეფასების ერთობლივ დოკუმენტში (პროცენტული გადანაწილება)




ცხრილი 1. ძირითადი პუნქტები საჭიროებათა შეფასების ერთობლივ დოკუმენტში (მლნ. დოლარი)

| პუნქტი | ღირებულება |
|---|---|
| სოციალური სექტორი | 996 |
| ინფრასტრუქტურა | 958 |
| საბიუჯეტო დახმარება | 930 |
| მუნიციპალური სერვისები | 257 |
| მყისიერი მიმართვა | 109 |
| გარემოს დაცვა | 7 |
| **ჯამი** | **3,257** |

საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი აგრეთვე მოუწოდებს დონორებს გამოყონ დამატებით 700 მლნ. დოლარი ფინანსური სექტორის მხარდასაჭერად ლიკვიდურობის ან გარანტიების სახით. ეს თანხა მომავალში უკან უნდა იქნეს დაბრუნებული (გარდა ამისა, 2008 წლის 15 სექტემბერს ხელი მოეწერა შეთანხმებას საერთაშორისო სავალუტო ფონდთან,

რომლის თანახმად 250 მლნ. დოლარი დაუყოვნებლივ იქნა გამოყოფილი, ხოლო კიდევ 500 მლნ. დოლარი ხელმისაწვდომი გახდება მომდევნო 18 თვის განმავლობაში). საბოლოო თანხა (3,25 მლრდ. დოლარი) არ მოიცავს საფინანსო სექტორისთვის განკუთვნილ დახმარებას.

## სოციალური სექტორის მხარდაჭერა

სოციალური სექტორის მხარდასაჭერად განკუთვნილი თანხის ოდენობა 996 მლნ. დოლარს შეადგენს და ის საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის უმსხვილესი პუნქტია. ამ თანხის უდიდესი ნაწილი იძულებით ადგილნაცვალ პირთა განსახლებას უნდა მოხმარდეს. დაფინანსების მოცულობის მხრივ მეორე ადგილზე სიღარიბის ნიშნულს ქვემოთ მცხოვრებ პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამაა.

ცხრილი 2. სოციალური სექტორის მხარდაჭერის ძირითადი პუნქტები (მლნ. დოლარი)

| **პუნქტი** | **თანხა** |
|---|---|
| იძულებით ადგილნაცვალ პირთა განსახლება | 576 |
| ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა | 168 |
| საკვების უსაფრთხოება და ირიგაცია | 80 |
| განათლება | 53 |
| მიზნობრივი სოციალური დახმარება სიღარიბის ნიშნულს ქვემოთ აღმოჩენილთათვის | 50 |
| სხვა | 69 |
| **ჯამი** | **996** |

საჭიროებათა შეფასების ერთობლივ დოკუმენტში მოცემული ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ინფორმაცია არის ის, რომ მთავრობას განზრახული აქვს მუდმივი საცხოვრებელი ადგილის შექმნა საქართველოში მცხოვრები ყველა იძულებით ადგილნაცვალი პირისათვის, მათ შორის 1990-იანი წლების დასაწყისში ადგილნაცვალთათვის. ამ პროგრამის საერთო ღირებულება 796 მლნ. დოლარს შეადგენს (იხ. ჩანართი ქვემოთ). მიუხედავად იმისა, რომ ომამდელი პოლიტიკის ასეთი რადიკალური ცვლილება ღიად არის განცხადებული დოკუმენტის საჯაროდ გამოქვეყნებულ ვერსიაში, გულისხმობს დიდ დანახარჯებს და უშუალოდ ეხება საქართველოს მოსახლეობის რვა პროცენტს, არც ქართულ მედიას და არც ოპოზიციას მისადმი განსაკუთრებული ყურადღება არ გამოუჩენია, რაც არც თუ ისე კარგად წარმოაჩენს მათ.

გათვალისწინებულია დამატებით 168 მლნ. დოლარის გამოყოფა ღარიბი მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების არსებული სამთავრობო პროგრამის გასაფართოებლად, მასში 130 000 ახალი ბენეფიციარის ჩასართველად და სადაზღვევო თანხის გასაზრდელად. ახალ ბენეფიციარებს შორის იქნებიან უშუალოდ კონფლიქტის შედეგად სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩენილი პირები, მაგალითად ახალი დევნილები, აგრეთვე ისინი, ვინც „სავარაუდოდ აღმოჩნდებიან სიღარიბის ზღვარს ქვემოთ“ ეკონომიკური რეცესიის შედეგად.

## იძულებით ადგილნაცვალ პირთა განსახლება

საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი ითვალისწინებს საქართველოში მცხოვრები ყველა იძულებით ადგილნაცვალი პირის გრძელვადიან განსახლებას. პროგრამის მთლიანი ღირებულება 796 მლნ. დოლარს შეადგენს. აგვისტოს ომის შედეგად ადგილნაცვალ პირთა განსახლება 303 მლნ. დოლარი დაჯდება, ხოლო 1992-1993 წლებში ადგილნაცვალთა განსახლებას 493 მლნ. დოლარი სჭირდება. ეს თანხები მოიცავს ისეთ ხარჯებს, როგორიცაა ავეჯის შეძენა და განსახლებასთან დაკავშირებული მომსახურება.

თავდაპირველად მოხდება უკანასკნელ პერიოდში ადგილნაცვალთა განსახლება. მათ უმრავლესობას მუდმივი საცხოვრებელი ადგილი 2009 წლის მარტისთვის უნდა ჰქონდეს, ხოლო 2011 წლისთვის ყველა იძულებით ადგლნაცვალი პირი მუდმივ საცხოვრებელ ადგილს მიიღებს.

საჭიროებათა შეფასების ერთობლივ დოკუმენტში ნათქვამია, რომ „ადგილნაცვალ პირებს შესთავაზებენ რამდენიმე შესაძლო ვარიანტს: ერთჯერადი ფულადი კომპენსაცია და კომუნალური გადასახადების ვაუჩერები განსახლების პროცესში მყოფი ადგილნაცვალი ოჯახებისათვის; საჯარო დაწესებულებების საცხოვრებელ სახლებად გარდაქმნა; ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების აშენება სოფლებსა და ქალაქებში.“ პროცესის ხელშემწყობი ღონისძიებები მოიცავს „იძულებით ადგილნაცვალი ბენეფიციარებისთვის სრულფასოვანი კონსულტაციის შეთავაზებას და მათთვის ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიწოდებას განსახლების შესაძლო ვარიანტების თაობაზე.“

საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის დანართში ნათქვამია, რომ იძულებით ადგილნაცვალი პირები უნდა სარგებლობდნენ „მაქსიმალური თავისუფლებით საცხოვრებელი ადგილისა და თავშესაფრის შერჩევისას.“ გარკვეულ შეშფოთებას იწვევს ამავე წინადადების სქოლიო, რომლის თანახმად „ეს გულისხმობს ნაბიჯების გადადგმას იმის უზრუნველსაყოფად, რომ იძულებით ადგილნაცვალ პირთა განსახლების ადგილის შერჩევისას გამჭვირვალე და სამართლიანი კრიტერიუმები იქნება გამოყენებული.“ ამჟამად არ არის ნათელი, მართლაც ექნებათ იძულებით ადგილნაცვალ პირებს სასურველი ვარიანტის არჩევის შესაძლებლობა, თუ მათ ნაცვლად არჩევანს მთავრობის წარმომადგენლები და კონსულტანტები გააკეთებენ.

ცხრილი 3. იძულებით ადგილნაცვალ პირთა განსახლების დაფინანსების გრაფიკი (მლნ. დოლარი)

| **გრაფიკი** | **ღირებულება** | **კომენტარი** |
|---|---|---|
| 2009 წლის მარტამდე | 169 | *მხოლოდ უკანასკნელ პერიოდში ადგილნაცვალი პირებისთვის* |
| 2009 წლის მარტიდან 2010 წლის მარტამდე | 268 | *განაწილდება თანაბრად ძველ და ახალ ადგილნაცვალ პირებს შორის* |
| 2010 წლის მარტიდან 2011 წლის სექტემბრამდე | 359 | *მხოლოდ ძველი ადგილნაცვალი პირებისთვის* |
| **ჯამი** | **796** | |

განსახლებისთვის საჭირო 796 მლნ. დოლარიდან 220 მლნ. დოლარი უკვე გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტში ან შეტანილია საბიუჯეტო დახმარების კატეგორიაში (ეს თანხა სავარაუდოდ მოიცავს იძულებით ადგილნაცვალ პირთა სახლების ღირებულებას, რომლებსაც მთავრობა ამჟამად აშენებს). აქედან გამომდინარე, საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი განსახლების პროგრამისათვის მხოლოდ 576 მლნ. დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს.

## ინფრასტრუქტურა

საჭიროებს რა 985 მლნ. დოლარის ოდენობის ჯამურ დაფინანსებას, ინფრასტრუქტურას მეორე ადგილი უკავია საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის პუნქტებს შორის ღირებულების მხრივ. ამ თანხის დაახლოებით 90% გზებისა და ბუნებრივი აირის საცავის მშენებლობაზე დაიხარჯება.

ცხრილი 4. ინფრასტრუქტურის ძირითადი ელემენტები (მლნ. დოლარი)

| პუნქტი | ღირებულება |
|---|---|
| ძირითადი გზების ქსელი | 592 |
| მეორადი გზების ქსელი | 93 |
| ბუნებრივი აირის საცავი | 177 |
| თბილისის აეროპორტის ასაფრენი ბილიკების შეკეთება | 30 |
| სენაკის ელექტროგადამცემი ხაზის შეკეთება | 28 |
| სხვა | 38 |
| **ჯამი** | **958** |

ცალკე აღებული ძირითადი გზების ქსელის მშენებლობაც კი უფრო ძვირი დაჯდება, ვიდრე ყველა იძულებით ადგილნაცვალი პირის განსახლება. საჭიროებათა შეფასების ერთობლივ დოკუმენტში ნახსენები 592 მლნ. დოლარი არ მოიცავს ამ მიზნისათვის ბიუჯეტში უკვე გათვალისწინებულ თანხას. საერთო ღირებულება 969 მლნ. დოლარს შეადგენს, ანუ დაახლოებით 200 დოლარს საქართველოს თითოეულ მაცხოვრებელზე. ძირითადი გზების კატეგორიაში შედის საკვანძო პორტებთან და სასაზღვრო პუნქტებთან (ნინოწმინდისა და ზუგდიდის გამოკლებით) თბილისის დამაკავშირებელი გზები, რომელთა საერთო სიგრძე 1 763 კილომეტრს შეადგენს. მომდევნო ხუთი წლის მანძილზე შესაძლებელია აშენდეს ოთხზოლიანი მაგისტრალი თბილისიდან რიკოთის გვირაბამდე, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს აკავშირებს.

მეორადი გზების კატეგორია მოიცავს ბათუმი-ახალციხის, ქუთაისი-აბასთუმნის და ბაკურიანი-ახალქალაქის გზებს. საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის თანახმად, მეორადი და ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციაზე დახარჯული 100 მლნ. დოლარი ერთი წლის მანძილზე 3000 სამუშაო ადგილს შექმნის.

მომავალში გზების შეკეთება შესაძლოა მაგისტრალებზე მოსაკრებლების დაწესების საშუალებით დაფინანსდეს.

ბუნებრივი აირის მიწისქვეშა საცავის მშენებლობა მიზნად ისახავს ზამთარში ელექტროენერგიის უწყვეტი მიწოდების უზრუნველყოფას იმ შემთხვევაშიც კი, თუ უცხოეთიდან გაზის იმპორტი დროებით შეწყდება.

## პირდაპირი საბიუჯეტო დახმარება

საჭიროებათა შეფასების ერთობლივ დოკუმენტში ნათქვამია, რომ საქართველოში არსებული „მმართველობის მაღალი სტანდარტების“ გათვალისწინებით, დონორებმა ერთი მილიარდი დოლარი უშუალოდ მთავრობას უნდა გამოუყონ, რათა ამ უკანასკნელმა შეძლოს მზარდი სოციალური დანახარჯების და კონტრციკლური პოლიტიკით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურის პროექტების დაფინანსება შემოსავლების კლების პირობებში.

ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება პირდაპირ გავლენას მოახდენს მთავრობის შემოსავლებზე. საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის თანახმად, 2008 წელს მთავრობის შემოსავლები 385 მლნ. დოლარით ნაკლები იქნება ვიდრე თადაპირველად ივარაუდებოდა, ხოლო 2009 წელს იგივე დეფიციტი 640 მლნ. დოლარს მიაღწევს. აგრეთვე შემცირდება პრივატიზაციიდან მიღებული შემოსავლების მოცულობა. გარეშე ჩარევის

არარსებობის შემთხვევაში, მთავრობას მოუწევდა დანახარჯების შემცირება დაახლოებით ერთი მილიარდი დოლარით ან ვალებში ჩაფლობა, ან სულაც ორივე.

ამავე დროს, ომით გამოწვეული ზარალის, იძულებით ადგილნაცვალი ადამიანების გაჩენის, უმუშევრობისა და სიღარიბის მაჩვენებლების ზრდის შედეგად მოქალაქეებს ამჟამად უფრო მეტად სჭირდებათ სახელმწიფოს დახმარება ვიდრე ადრე. უნდა გვახსოვდეს, რომ ცალკე აღებული ომის შედეგად სიღარიბის ზღვარს მიღმა აღმოჩენილ პირთა ჯანმრთელობის დაზღვევის პროგრამა და რეცესიის შედეგების აღმოფხვრაც კი ათობით მილიონი დოლარი დაჯდება.

გარდა ამისა, მთავრობის განზრახვა, განახორციელოს ანტიციკლური საბიუჯეტო პოლიტიკა, დამატებით ხარჯებს გულისხმობს. კერძო სექტორში ინვესტიციების მოცულობის მკვეთრი შემცირების პირობებში მთავრობას სურს, რომ გახდეს წამყვანი ინვესტორი, განსაკუთრებით მშენებლობისა და ენერგეტიკის სფეროებში, რათა შეამციროს გარდაუვალი რეცესიით გამოწვეული ზიანი.

დონორების მხარდაჭერის გარეშე მთავრობა იძულებული იქნებოდა მკვეთრად შეემცირებინა ხარჯები სწორედ იმ მომენტში, როდესაც ეს ხარჯები ყველაზე უფრო მეტად არის აუცილებელი, რაც გაახანგრძლივებდა რეცესიას და დაამძიმებდა მის გავლენას ღარიბი მოქალაქეების ცხოვრებაზე. საჭიროებათა შეფასების ერთობლივ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ამის თავიდან ასაცილებლად დონორებმა 930 მლნ. დოლარი უნდა გამოუყონ საქართველოს მთავრობას პირდაპირი საბიუჯეტო დახმარების სახით - 480 მლნ. დოლარი 2008 წელს და 450 მლნ. დოლარი 2009 წელს.

დონორები სავარაუდოდ გამოყოფენ თითქმის ერთ მილიარდ დოლარს, თუმცა ამ შემთხვევაშიც კი 2009 წელს მთავრობას დაახლოებით ნახევარი მილიარდი დოლარით ნაკლები ექნება ვიდრე თავდაპირველად ივარაუდებოდა. როგორც ჩანს, მნიშვნელოვნად შემცირდება თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების ბიუჯეტები.[2]

საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი მოკლე პერიოდში და ძალზედ არასტაბილურ ვითარებაში დაიწერა. შედეგად, დოკუმენტში მოყვანილი რიცხვები არც თუ ისე სანდოა. მეტიც, დოკუმენტის ტექსტში მოყვანილი რიცხვები ხშირად არ ემთხვევა ცხრილებში მოცემულ რიცხვებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ დოკუმენტში წარმოდგენილი მაკროეკონომიკური მონაცემები საერთაშორისო სავალუტო ფონდისთვის სექტემბერში მიწოდებულ რიცხვებს ეფუძნება, ხოლო გლობალური ფინანსური კრიზისი უკანასკნელი რამოდენიმე კვირის მანძილზე უფრო სერიოზული გახდა და მხოლოდ ახლა აღწევს განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს, საბიუჯეტო კრიზისი ალბათ იმაზე უფრო მძიმე იქნება, ვიდრე საჭიროებათა შეფასების ერთობლივ დოკუმენტშია ნავარაუდევი, თუმცა კი დოკუმენტში აღწერილი ვითარება თავისთავად საკმაოდ მძიმეა.

ერთი რამ ცხადია - პენსიების საგრძნობი ზრდა უახლოეს წლებში მოსალოდნელი არ არის.

## მუნიციპალური სერვისები

საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის თანახმად, მუნიციპალური სერვისების დასაფინანსებლად 257 მლნ. დოლარია საჭირო. დოკუმენტში ჩამოთვლილი პუნქტები მოიცავს წყალმომარაგებას, კანალიზაციას, საქალაქო გზებს, საზოგადოებრივ ტრანსპორტს და ომის დროს დაზიანებული საჯარო ნაგებობების შეკეთებას. ყველაზე დიდი მოცულობის დახმარებას

[2] 9 ოქტომბერს წარდგენილი 2009 წლის ბიუჯეტის პროექტის მიმოხილვა იხილეთ: http://www.civil.ge/eng/article.php?id=19722&search=budget
ბიუჯეტის პროექტის თანახმად, ხარჯების ოდენობა 4,9 მლრდ ლარით (3,5 მლრდ დოლარი) განისაზღვრა. აღსანიშნავია, რომ ეს პროექტი 22 ოქტომბრის დონორთა კონფერენციამდე დაიწერა და მომავალში ის მნიშვნელოვნად შეიცვლება.

ქალაქი ქუთაისი მიიღებს, სადაც 72 მლნ. დოლარი დაიხარჯება საქალაქო ტრანსპორტზე, წყალმომარაგების პროექტებზე და კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებაზე.

სქემა 2. მუნიციპალური სერვისები ქალაქების მიხედვით (მლნ. დოლარი)




თითქმის ყველა სამუშაო 2009 წელს ან უფრო გვიან შესრულდება. საჭიროებათა შეფასების ერთობლივ დოკუმენტში ნათქვამია, რომ ვინაიდან დონორებს მთავრობის მუნიციპალური განვითარების ფონდთან თანამშრომლობის პოზიტიური გამოცდილება აქვთ, მიზანშეწონილია, რომ სხვადასხვა სახის პროექტები სწორედ ამ ინსტიტუტის საშუალებით დაფინანსდეს.

## მყისიერი მიმართვა

ოქტომბრის დასაწყისში გამოქვეყნებული მყისიერი მიმართვის (Flash Appeal) სახეცვლილი ვერსია მოიცავს პროექტებს, რომელთა საერთო ღირებულება 109 მლნ. დოლარია. რეალურად, ეს არის 105 ჰუმანიტარული პროექტის კრებული, რომლებიც შემუშავებულ იქნა არასამთავრობო ორგანიზაციების (54 პროექტი), გაერო-ს (42 პროექტი) და მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (9 პროექტი) მიერ. ყველა ამ პროექტის ავტორებს სურთ მიიღონ დაფინანსება დონორებისგან.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული 54 პროექტიდან, რომლებიც მყისიერ მიმართვაში არის წარმოდგენილი, მხოლოდ ერთია შემუშავებული ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის მიერ. ეს არის ორგანიზაცია „აფხაზინტერკონტის“ მიერ წარმოდგენილი პროექტი, რომლის ღირებულება სულ რაღაც 70 000 დოლარს შეადგენს. ამავე დროს, მიმართვა მოიცავს მრავალ მასშტაბურ პროექტს, შემუშავებულს იმ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ, რომლებმაც საქართველოში საქმიანობა მხოლოდ აგვისტოს ომის შემდეგ დაიწყეს ან განაახლეს.

დაახლოებით 50 მლნ. დოლარს შეადგენს მყისიერ მიმართვაში წარმოდგენილი იმ პროექტების საერთო ღირებულება, რომლებიც იძულებით ადგილნაცვალ პირთათვის თავშესაფრის უზრუნველყოფას და მათი ისეთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას გულისხმობს, რომლებიც საკვებთან არ არის დაკავშირებული. საკვების უსაფრთხოების კატეგორია, რომელიც საკვები პროდუქტებით დახმარებას და სოფლის მეურნეობის მხარდაჭერას ითვალისწინებს, 35 მლნ. დოლარის ღირებულების პროექტებს მოიცავს.

ცხრილი 5. მყისიერ მიმართვაში ჩამოთვლილი პროექტები კატეგორიების მიხედვით (მლნ. დოლარი)

| კატეგორია | ღირებულება |
|---|---|
| თავშესაფარი და ისეთი სახის დახმარება, რომელიც საკვებს არ უკავშირდება | 47 |
| საკვების უსაფრთხოება | 35 |
| დაცვა | 10 |
| საარსებო წყარო | 6 |
| წყალი, დასუფთავება და ჰიგიენა | 5 |
| ჯანმრთელობის დაცვა | 3 |
| სხვა | 2 |
| **ჯამი** | **109** |

*შენიშვნა: კატეგორიების ჯამი ზუსტად 109 მლნ. დოლარს არ შეადგენს, რადგან თანხები დამრგვალებულია*

მყისიერი მიმართვის შედგენისას ადგილი ჰქონდა კოორიდნაციას საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის ავტორებთან, თუმცა ეს მიმართვა შედარებით მოკლევადიანი პროგრამაა და მხოლოდ 2009 წლის მარტის ბოლომდე გაგრძელდება. საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტისაგან განსხვავებით, მყისიერი მიმართვა საჯარო დოკუმენტია, რომელიც ინტერნეტში არის განთავსებული და ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომია.

## პარიზის დეკლარაცია დახმარების ეფექტიანობის შესახებ და საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი

საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტში ციტირებულია პარიზის დეკლარაცია დახმარების ეფექტურობის შესახებ, რომელშიც ნათქვამია, რომ დახმარება უნდა იყოს „პროგნოზირებადი და ჰარმონიზებული, შეესაბამებოდეს ეროვნულ ინტერესებს და იყენებდეს მიმღები ქვეყნის ინსტიტუტებსა და სისტემებს“. პარიზის დეკლარაცია 2005 წელს იქნა მიღებული. მისი დამტკიცების პროცესში მონაწილეობდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, კანადის, ევროპის მსხვილი დონორი ქვეყნების და მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის, მათ შორის მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის, წარმომადგენლები.

საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ პარიზის დეკლარაციის თანახმად, დახმარების გაწევის პროცესში აუცილებელია ჩართულობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვა.

- **ჩართულობა**

პარიზის დეკლარაციის თანახმად, განვითარების სტრატეგიების შემუშავებაში განვითარების პროცესში ჩაბმული პარტნიორების ფართო სპექტრი უნდა მონაწილეობდეს (მუხლი 48). საჭიროებათა შეფასების ერთობლივ დოკუმენტში აღიარებულია, რომ „ქვეყანაში არსებული განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე სუბიექტების უფრო ინტენსიური მონაწილეობა რეაბილიტაციისა და ზრდის სტრატეგიის განხორციელებაში გააიოლებს წარმატების მიღწევას“.

ამავე დროს, ის ფაქტი, რომ საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი დახურულ კარს მიღმა შეიქმნა, მისი საგრძნობლად სახეშეცვლილი „მოკლე შინაარსი“ მხოლოდ დონორთა კონფერენციის დღეს გამოქვეყნდა, ხოლო დამოუკიდებელ დამკვირვებლებს და მედიას თავად კონფერენციაზე დასწრების შესაძლებლობა არ ჰქონიათ, იმის მანიშნებელია, რომ საქართველოს მოქალაქეთა დიდი ნაწილი კვლავაც სრულიად იზოლირებულია დახმარებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვისაგან. დღესაც კი, საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომია საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის ერთადერთი ვერსია - 46-გვერდიანი „მოკლე შინაარსი“, რაც დოკუმენტის სრული ვარიანტის მხოლოდ ერთ მეოთხედს წარმოადგენს. „მოკლე შინაარსი“ შეიცავს საგრძნობლად სახეშეცვლილ ტექსტს, რომლიდანაც ამოღებულია მნიშვნელოვანი მონაცემები (მაგალითად, პროგნოზები უმუშევრობის მაჩვენებლის თაობაზე) და პუნქტები

(როგორიცაა დანართი „ომის გავლენა ეკონომიკაზე, სოციალურ მდგომარეობაზე და სიღარიბის დონეზე"). ამ ნაწილების ამოღება საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი ტექსტიდან შეუსაბამოა ლიბერალური დემოკრატიის კონცეფციასთან.

საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი შეიქმნა და გადაისინჯა ისე, რომ საქართველოს განვითარების სტრატეგიების შემუშავების პროცესში საქართველოს პარლამენტს, პოლიტიკურ პარტიებს, კვლევით ორგანიზაციებს, ინტერესთა ჯგუფებს და მედიას არანაირი მონაწილეობა არ მიუღიათ. დოკუმენტის გასაიდუმლოების გამო პარლამენტს და სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებს არ აქვთ შესაძლებლობა, ეფექტურად მიიღონ მონაწილეობა იმის განხილვაში, თუ როგორ უნდა განაწილდეს დახმარება, როგორ უნდა განხორციელდეს ეს პროცესი და რა სახის მონიტორინგი უნდა დაწესდეს მასზე.

- **ანგარიშვალდებულება**

პარიზის დეკლარაცია ითვალისწინებს დახმარების გამოყოფის პროცესში გამცემი და მიმღები ქვეყნების პარლამენტებისა და მოქალაქეების წინაშე ანგარიშვალდებულების ხარისხის ზრდას (მუხლი 3).

სინამდვილეში, საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის შემუშავებაში საქართველოდან მხოლოდ მაღალი თანამდებობის მქონე რამოდენიმე პირი მონაწილეობდა. მიუხედავად იმისა, რომ საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი საქართველოს მომავლისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია, ის არ წარდგენილა პარლამენტში განსახილველად ან დასამტკიცებლად. შედეგად, შემცირდა დახმარების მიღების პროცესში ანგარიშვალდებულების პრინციპის დაცვის შესაძლებლობა და შესუსტდა პარლამენტის საზედამხედველო როლი. რადგანაც საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი კვლავაც გასაიდუმლოებულია, საქართველოსა და დონორი სახელმწიფოების პარლამენტებისა და მოქალაქეების მიმართ ანგარიშვალდებულება დახმარების პროცესში არასაკმარისად არის უზრუნველყოფილი.

საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის განხილვისა და გადასინჯვის პროცესში საქართველოს მთავარი წარმომადგენელი მაშინდელი პრემიერ-მინისტრი ლადო გურგენიძე იყო. დონორთა კონფერენციის დამთავრებიდან სულ რამოდენიმე დღეში გურგენიძემ თანამდებობა დატოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ დღეისათვის ქართული მხარის წვლილი დოკუმენტის შემუშავებაში თვით სამთავრობო დონეზეც კი შეზღუდულია.

- **გამჭვირვალობა**

პარიზის დეკლარაცია მოუწოდებს დონორებს უზრუნველყონ დახმარების მეტი გამჭვირვალობა (მუხლი 49). ამისგან განსხვავებით, მონიტორინგის და შეფასების სისტემა, რომელსაც საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი ითვალისწინებს, თითქმის მთლიანად არის ფოკუსირებული დონორ ორგანიზაციებსა და საქართველოს მთავრობას შორის ურთიერთობებზე. დოკუმენტი მხოლოდ 1 მლნ. დოლარს გამოყოფს 3,25 მლრდ. დოლარის მოცულობის დახმარების პროგრამის მონიტორინგის, მის განხორციელებაზე დაკვირვების და მისი შედეგების შეფასებისათვის, რაც დოკუმენტით გათვალისწინებული მთლიანი თანხის 0,03% შეადგენს.

საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის მიხედვით, შედეგების შეფასება „უნდა განხორციელდეს ადგილობრივი კვლევითი ინსტიტუტის, საკონსულტაციო ფირმის ან/და ცენტრალური სტატისტიკური ორგანოს მიერ პრემიერ-მინისტრის აპარატის ხელმძღვანელობით". დახმარებაზე მონიტორინგი უნდა განხორციელდეს დარგობრივი სამინისტროების და დონორების მიერ ყოველკვარტლური განხილვის მეშვეობით. ამ შემთხვევაშიც, სამუშაოს სათავეში პრემიერ-მინისტრის აპარატი უნდა ჩაუდგეს. ამას გარდა, პროგრესისა და შედეგების შესახებ ანგარიშის ჩასაბარებლად და პრობლემების გამოვლენის მიზნით ექვსი, თორმეტი და თვრამეტი თვის თავზე დაგეგმილია უფრო ფართო შემაფასებელი შეხვედრების ჩატარება დონორთა სათაო ოფისების მონაწილეობით. დოკუმენტი არ შეიცავს მითითებას, რომ ასეთი შეხვედრები უნდა იყოს ღია ოპოზიციის წევრებისთვის, სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისთვის ან მედიისათვის, ან რომ საქართველოს მთავრობას მოუწევს დახმარების პროგრამის განხორციელების შესახებ ანგარიშის ჩაბარება პარლამენტისთვის ან ფართო საზოგადოებისათვის.

ნაკლებად სავარაუდოა, რომ მონიტორინგი და შეფასება, რომელიც ხორციელდება დახურულ კარს მიღმა იმ სუბიექტების მიერ, რომლებიც ძალზედ დაინტერესებულები არიან დადებითი დასკვნის წარმოდგენაში, უზრუნველყოფს დახმარების გამჭვირვალე და ეფექტიან გამოყენებას. საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი არ ითვალისწინებს ალტერნატიულ შეფასებებს პარლამენტის, პოლიტიკური ოპოზიციის ან ქართული სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფების და კვლევითი ინსტიტუტების მხრიდან.

საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი არ შეიცავს რაიმე დებულებებს ინფორმაციის თავისუფლების შესახებ, რომლებიც აიძულებდა დონორებს, სამთავრობო ორგანოებს, კერძო კონტრაქტორებს ან გრანტების მიმღებ არასამთავრობო ორგანზიაციებს საჯარო გახადონ საკუთარი საბუღალტრო ანგარიშები. მაშინ, როდესაც სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული დახმარება დაექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობას (კერძოდ, ადმინისტრაციულ კოდექსს), რომელიც დეტალურად განსაზღვრავს ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, ანგარიშვალდებულების ასეთი გარანტიები შეიძლება არც გავრცელდეს სხვა არხების მეშვეობით შემოსულ დახმარებაზე.

## ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი

2005 წელს დამტკიცებული ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის მიხედვით, საქართველოს მთავრობამ საკუთარ თავზე პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ინსტიტუციონალურ რეფორმებთან დაკავშირებულ ვალდებულებათა ფართო სპექტრი აიღო. საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი პირდაპირ უკავშირდება ზოგიერთ ასეთ ვალდებულებას, თუმცა ამ კავშირის შედეგები სხვადასხვა შემთხვევაში განსხვავებულია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში, მწვანე (+) აღნიშნავს პროგრესს, რომელიც მიღწეულია ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში არსებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით; წითლად (-) აღნიშნულია უკუსვლა; ხოლო ყვითელი (0) შერეულ შედეგებზე მიუთითებს.

ცხრილი 6. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი

| | | |
|---|---|---|
| **პრიორიტეტული სფეროები** | | |
| **სფერო №3: სიღარიბის დაძლევაზე ყურადღების გამახვილება** | **0** | საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი დამყარებულია მსოფლიო ბანკის მოდელზე, რომლის მთავარი ელემენტი მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაა და რომელმაც ვერ შეამცირა სიღარიბე 2004-2008 წწ. თუმცა, საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი ითვალისწინებს სოციალური ხარჯების მნიშვნელოვან ზრდას. |
| **სფერო №4: იძულებით გადაადგილებული პირებისთვის ინტეგრირების შესაძლებლობების შეთავაზება** | **+** | ამ მხრივ, საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტი წარმოადგენს უზარმაზარ წინგადადგმულ ნაბიჯს. ყველა იძულებით გადაადგილებული პირის სრული ინტეგრაცია უნდა მოხდეს 2011 წლისათვის. |
| **ზოგადი მიზნები** | | |
| **4.1.1. საქართველოს პარლამენტის, განსაკუთრებით მისი საზედამხედველო როლის გაძლიერება** | **-** | საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის შემუშავებისას, სისტემატურად ხდებოდა ამ პროცესიდან პარლამენტის იზოლირება. გრძელვადიანი საბიუჯეტო გეგმები შედგენილი იქნა ყოველგვარი საპარლამენტო კონტროლის გარეშე. |

| | | |
|---|---|---|
| **4.1.1. პოლიტიკური პარტიების როლის გაძლიერება** | - | საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის შემუშავებისას, სისტემატურად ხდებოდა ამ პროცესიდან ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების იზოლირება, მათ ამ პროცესში რაიმე მნიშვნელოვანი როლი არ შეუსრულებიათ. |
| **4.4. ეკოლოგიური საკითხების ინტეგრირება პოლიტიკის სხვა სფეროებში** | - | ეკოლოგიური საკითხების ინტეგრირება პოლიტიკის სხვა სფეროებში არ მომხდარა. ინფრასტრუქტურისთვის განკუთვნილი 958 მლნ. დოლარი ხელს შეუწყობს მინერალური საწვავის მოხმარების ზრდას, ძირითადად გზების მშენებლობის გამო. |
| **4.6.2. განახლებადი ენერგიის გამოყენების მასშტაბების გაზრდა** | - | ენერგეტიკისათვის გამოყოფილი 223 მლნ. დოლარი არ ითვალისწინებს განახლებადი ენერგიის წყაროების დაფინანსებას. ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული პროექტები გაზრდის მოძრაობას გზებზე. |

იმის გამო რომ საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის შემუშავების პროცესში წამყვანი როლი დონორებმა და უპირველეს ყოვლისა კი ევროკომისიამ (მსოფლიო ბანკთან და გაეროსთან ერთად) შეასრულეს, სწორედ ევროკომისიას ეკისრება პასუხისმგებლობის უდიდესი წილი საქართველოს მიერ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი ვალდებულების შესრულების მხრივ არსებული რეგრესის გამო.

*ნოემბერი, 2008 წელი*

## ძირითადი დოკუმენტები და ინტერნეტ-საიტები

**საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის საჯარო "მოკლე შინაარსი"**
http://www.reliefweb.int/rw/RWB.NSF/db900SID/MUMA-7KP5DR?OpenDocument

**მყისიერი მიმართვა საქართველოში არსებული ვითარების გამო (2008 წ. ოქტომბერი)**
http://ochaonline.un.org/cap2005/webpage.asp?Page=1701

**პარიზის დეკლარაცია დახმარების ეფექტურობის შესახებ**
http://www.gc21.de/ibt/alumni/ibt/docs/Paris_Declaration_en.pdf

**ჰუმანური განვითარების საქართველოს ანგარიში 2008**
http://www.undp.org.ge/new/index.php?lang_id=ENG&sec_id=24&info_id=278

**Reliefweb-ის ინტერნეტ-გვერდი საქართველოს შესახებ**
http://www.reliefweb.int/rw/dbc.nsf/doc104?OpenForm&rc=3&cc=geo

**Reliefweb: დონორების დაფინანსება საქართველოსთვის**
http://www.reliefweb.int/rw/fts.nsf/doc105?OpenForm&rc=3&cc=geo

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“**
http://www.transparency.ge/

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ პრეს-რელიზი დონორთა კონფერენციის შესახებ (2008 წ. ოქტომბერი)**
http://www.transparency.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=50600&info_id=437

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“ პრეს-რელიზი ერთი მილიარდი დოლარის გამოყოფის თაობაზე პრეზიდენტ ბუშის დაპირების შესახებ (2008 წ. სექტემბერი)**
http://www.transparency.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=210&info_id=435

**მსოფლიო ბანკი - საქართველო**
http://web.worldbank.org/WBSITE/EXTERNAL/COUNTRIES/ECAEXT/GEORGIAEXTN/0,,menuPK:301751~pagePK:141159~piPK:141110~theSitePK:301746,00.html
მსოფლიო ბანკმა განაცხადა, რომ მომავალში დაგეგმილი აქვს საჭიროებათა შეფასების ერთობლივი დოკუმენტის სრული ტექსტის გამოქვეყნება. დოკუმენტის სრული ვერსიის მისაღებად დაუკავშირდით მსოფლიო ბანკის თბილისის ოფისს - +995 (32) 91-30-96

*საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო მომავალშიც განაგრძობს საქართველოსთვის გამოყოფილი ფინანსური დახმარებების მონიტორინგს და შეფასებას.*

*მომავალი ანგარიშების და სხვა პუბლიკაციების გასაცნობად იხილეთ ორგანიზაციის ვებგვერდი:*

***www.transparency.ge***